პროლეტარიელ ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლეჯო

№ 186 (7497)

28 1983 წ. სექტემბერი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფესიათშორისო რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕДО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



ხუროთა: შეტეხის კულმინაცია. გ. დარბაძის ელვისებური გარღვევებს ხშირად ამგვარი დენადი აქვს — წამის შემდეგ ბურთი მეტოქის კალთაში ჩაეშვება.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

●სსრ კავშირის 51-ე ჩემპიონატი კალათბურთში

ყოველი მატჩი გადამწყვეტია

თბილისი. სპორტის სასახლე. 26 სექტემბერი.

„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი) 96:93 (52:45).

თბილისი: კაპუტანი (10), ბოროდაროვი (10), ხიკვაშვილი (22), დარსაძე (8), დერიუგინი (26), მილოვიდოვი (14), გოიჩაოლიანი (2), ლიპარტელიანი, ჯორჯიკია (4).

მოსკოვი: კორნიშინი (15), გოლოვნკო (12), ბოროდოვი, ეიგლეი (6), ავაპეევი (5), ეიხელიოი (18), ოხოტნიკოვი (6), კოჩერგინი (6), ბურაკოვი, კოლეჩევი (30).

მსაჯები: ი. მუხამედიანოვი (უზბანი), ვ. ხუფრაკაკი (ტალინი).

მატჩის საბოლოო ანგარიშის მიხედვით, ორთაბრძოლა დამბადელი უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში იმათ, ვინც ვერ ნახა ეს შეხვედრა, უფიქრია, შეიქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ თბილისელებმა ძნელად დამარცხეს მეტოქე.

სინამდვილეში უკვე პირველი ტაიმის დამთავრებამდე გახდა ნათელი, რომ მასპინძლები მიღწეულნენ მიზანს. რა თქმა უნდა, ამ დროს ანგარიშში სხვაობა მინიმალაზე შეამცირეს, მაგრამ თვით ბრძოლის ხასიათი, რასაც ერთმანეთს დაპირისპირებული რგოლები თუ ცალკეული მეტოქე-კალთბურთელთა წყვილები ქმნიდნენ, აშკარად მეტყველებდა თბილისელთა სასარგებლოდ. დერიუგინი და ბოროდაროვი მთელი თავით მაღლა იდგნენ ტანმაღალ მოსკოველ კალათბურთელებზე ოხოტნიკოვზე და ეიგლეიზე. მართო ის ფაქტი, რომ სტუმართა ცენტრებმა მხოლოდ 6-6 ქულის მოგროვება შეძლეს, უტაუარად ლაპარაკობს ჩვენი ტანლღვის უპირატესობაზე.

და სიერთოდ, საკმარისია კაცმა ამ მატჩის ძირითად მონაწილეთა მოგროვებულ ქულებს გადახედოს, რომ თქვა: თბილისის „დინამო" გაცილებით თანაბარი, სტაბილური და, აქედან გამომდინარე, უფრო პრძოლისუნარიანი გუნდი გახდა.

ამ სარეკენჩო მატჩის ბიდი კი მეორე ტაიმის მე-4 წუთზე გადაწყდა, როცა ხუთი პერსონალური შენიშვნის გამო მოედანი დატოვა მოსკოველმა ოხოტნიკოვმა. ამ დროისთვის იმდენად ხელშესახები იყო თბილისის „დინამოს" უპირატესობა, რომ მწვრთნელებმა ყოველი შემთხვევისთვის „დასვენეს" დერიუგინი. თბილისელთა ცენტრი თამაშის ბოლომდე ალარც დაპრენებული მოედანზე.

უნაკლოდო ვერ ვიტყვით, მაგრამ მართლაც კარგად თამაშობს მთელი მატჩი დარსაძეს, ბოროდაროვმა (განსაკუთრებით დაცვაში) და ბიჭიაშვილმა. სასიამოვნოა, რომ ისევ იბრუნეს სპორტულ ფორმას მილოვიდოვი. კაპუტანზე, ბუნებრივია, აღარაფერს ვამბობთ, მან თითქმის 40 წუთი გაატარა მოედანზე და შესაძლოა, ეფექტური არა, მაგრამ როგორც ყოველთვის, ძალზე სასარგებლო იყო გუნდისთვის.

როცა მეთხუთეო გაზეთის ამ ნომრის მიიღებს, დინამოელებს უკვე ნათამაშევი ექნებათ ცსკა-სთან და, მიუხედავად ამ შეხვედრის შედეგისა, მთელი ძალების მოკრება დასჭირდებათ თბილისის ტერის ბოლო ორი მატჩის სათანადო დონეზე ჩასატარებლად. ისედაც ცნობილია (ეს თბილისის ტერის პირველმა მატჩებმაც ცხადყო), რომ ჩემპიონატი ორი მეტოქეები არ არსებობს. მინსკელა 30-ქულიანი მარცხი ტაშკენტის უნივერსიტეტთან, თვით ცსკა-ს დამარცხება რიგელ არმიელებთან სწორედ იმას მოწმობს, რომ ნებისმიერ მატჩში, ნებისმიერ მეტოქესთან სრული მზადყოფნითა და სრული მობილიზებით არის საჭირო ბრძოლა.

ახლა თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდი მთელი რესპუბლიკის სპორტის მოყვარულთა მხედველობის არეშია, მასზე განსაკუთრებულ იმედებს ამყარებენ, ეს გუნდი სულ უფრო პოპულარული ხდება და რაც თქმა უნდა, რომ ამ ყურადღების, ამ იმედების ნაღდი პასუხი დინამოელთა კარგი თამაში იქნება.

ბ. ირემაძე.



სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა XXIII ჩემპიონატი

პირველი შეხვედრები

„ბურევესტნიკის" სპორტულ კომპლექსში სტარტი აიღო უმაღლესი ლიგის ხელბურთელთა ვაჟთა გუნდების სსრ კავშირის XXIII ჩემპიონატმა.

პირველ მატჩში, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ჩელიაბინსკის „ტოლიატის"-ხელბურთელებმა დაბადეს ბრძოლები 29:24 (15:10) დაამარცხეს რიგის „

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲦᲘᲡᲐᲣᲤᲔᲚ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲘᲛᲐᲛᲐᲪᲘᲡ, ᲡᲘᲩᲐᲣᲥᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ

ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ

ᲗᲘᲜᲘᲗ ტექნიკურ სპორტს უმეგობრება, შემდეგ დიდხანს რჩება მისი ერთგული. ამ სახეობებში მოკაჭაჭეებს ხშირად სამეცადინოდ მოყავთ საკუთარი და ან ძმა, ბიძაშვილი, მოგვარე, მამები შვილებს ეზოარეებენ ხოლმე თავიანთ გატაცებას.

თბილისში, ცხრა ძმის ქუჩაზე, ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ წლევანდელი VIII საკავშირო სპარტაკიადის რეკორდსმენები, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები, კარტინგიანტი რობერტ აკოფოვი და ატომოდელისტი პაატა შარიფაშვილი. ორივე სპორტსმენი მამებმა, ყოფილმა სპორტსმენებმა მიიყვანეს თავიანთ საყვარელ სპორტულ სეექციაში.

ლევან შარიფაშვილმა თავისი 12 წლის ბიჭი სავარჯიშოდ სპიდვეის სექციაში მიიყვანა. ფეთითნ ხომ საქართველოში ამ სახეობის ერთერთი პიონერი და მწვრთნელი იყო. 12 წლის ბავშვისათვის ნაადრეადე ჩანდა უფროსი ბიჭი ინერციალი ვარჯიში. „ლოკომოტივის" სტადიონის სათადარიგო მოედანზე, სადაც სპიდვეისტები ვარჯიშობდნენ, ლევანს შემთხვევით ატომოდელისტთა მწვრთნელი თენგიზ ლატარია შეხვდა. თენგიზმა ახიდ-დახედა ყმაწვილს და ლევანს ეუჩინა სპიდვეის ნაცვლად პაატა ატომოდელიზმის სექციაში მიეყვანა. მამას ქუჩაში დაეჭდა ახალგაზრდა მწვრთნელის რჩევა და ბიჭი მეორე დღესვე მოდელისტთა ვარჯიშზე წაიყვანა. იმ დღიდან პაატა შარიფაშვილმა სამოლოო არჩევანი ავტომოდელიზმზე შეაჩერა. არც შემცდარა. 20 წლის ჭაბუკმა სპორტის ამ ტექნიკური სახეობის წყალობით თითქმის მთელი ევროპა მოიარა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ მან თავისი ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობით ვარჯიშის დაწყებიდან ორი წლის შემდეგ ქვეყნის ნაკრები გუნდის მწვრთნელთა ყურადღება მიიქცია, როცა 1978 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა ჭაბუკ მოდელისტთა შორის. აქვე შარიფაშვილი საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში შეიყვანეს.

ავტომოდელიზმში სულ 10 კლასია, ზაგრამ ეს სახეობა ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ: რადიომართვითი და სარბოლო მოდელები. პაატა რადიომართვით მოდელებში გამოდის. საქართველოს მოდელისტები სწორედ რადიომართვით მოდელებში ასპარეზობენ კარგად. ეს ალბათ პაატასა და მისი უფროსი მეგობრის, სსრ კავშირის ჩემპიონის დავით ჩხაიძის „ბრალეცაა".

1980 წელს ა. შარიფაშვილმა საკავშირო პირველობა მოიგო შიგაწვისძრავიანი მოდელით, ხოლო შარშან უძლიერესი იყო ელექტრომძრავიანი მოდელით ვარჯიში. შარშანვე იგივე მოდელით პირველობა დაისაკუთრა მესამე ახალგაზრდელ თამაშებზე, სადაც მხოლოდ ელექტრომძრავიანი მოდელი იყო წარმოდგენილი ატომოდელისტთა შეჯიბრებაში.

ჩვენ აქ მხოლოდ პირველი ადგილები ჩამოვთვალეთ. მომდინარე წელი კი, მართალია, პაატასთვის კარგად დაიწყო, მაგრამ მხოლოდ სპარზეი ადგილებს დასჯერდა ჯერ უძლიერესთა მატჩში ქალაქ რუბეჟანში და შემდეგ ბულგარეთის დიდ საერთაშორისო ტურნირზე „ვარნა-83"-ზე. სხვათა შორის, ბულგარეთში მან პირველად შესანულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი.

იყოლში პაატას დიდი გამოცდილება მინსკში, საბჭოთა კავშირის ხალხთა ზაფხულის VIII სპარტაკიადაზე. სარბოლზე პირველად თავისი საყვარელი ელექტრომძრავიანი მოდელით გამოვიდა და 100-მეტრიანი სარბილი ტრასა შესანიშნავ დროში — 26,0 წამში დაფარა, რაც დანარჩენი მოდელისტებისათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა.

მოდელისტს უფლება აქვს ნებისმიერ შეჯიბრებაში ორ სხვადასხვა კლასში გამოვიდეს. პაატამ ეს შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა და შიგაწვეისძრავიანი მოდელით III აღგილი აიღო — ოკრომ მედალს „ბრინჯაოს" შემატა.

ამ გამარჯვებამ დიდად შეუწყო ხელი საქართველოს გუნდის წარმატებას! — ჩვენმა მოდელისტებმა ხომ III სპრინზ ადგილი მოიპოვეს ეკუნდურ ჩაოვლეთ.

პაატა ბაკიაველი შემდეგ, აგვისტოში, ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში საერთაშორისო ტურნირი გიიმართა. თბილისელმა ატომოდელისტმა აქაც არაფის დაუთმო პირველობა. მან გაიუმჯობესა საკუთარი მიღწევა — მოდელმა აჭარერად 25,8 წამი უნეკნა.

მართალია, ატომოდელიზმში რეკორდები არ აღირიცხება, მაგრამ ოფიციალურად საუკეთესო შედეგებს მინე ინიშნავენ ამ სახეობის სპეციალისტები და მწვრთნელები. პაატამ შარშან, ბაქოში, საკავშირო ჩემპიონატზე 27,7 წამი აჩვენა (მანამდე ამ დროში 100-მეტრიანი ტრასა არც ერთ საბჭოთა ატომოდელისტს არ დაუფარავს).

საკართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ატომოდელიზმში პაატა შარიფაშვილი ფიზიკურ ნაკლოვანებათა გამოა ეს ინტერესი ამ სახეობის სპეციალისტები და მწვრთნელები. პაატამ შარშან, ბაქოში, საკავშირო ჩემპიონატზე 27,7 წამი აჩვენა (მანამდე ამ დროში 100-მეტრიანი ტრასა არც ერთ საბჭოთა ატომოდელისტს არ დაუფარავს).

საკართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექ

● ველოსპორტი ● „თბილისი 6 დღე"

წარმატება მოაქვს აქტიურობას

თბილისი ველოშრბოლა საერთაშორისო შეჯიბრების მეოთხე დღეს ბრძოლაში ჩაებნენ 1 კილომეტრზე გიტის მოსაწყლეები. სტატუს ყველაზე ადრე გამოსულმა პროფკავშირების ნაკრების წევრმა ს. ნეგოდენკომ 1.10,166 აჩვენა. მის შემდეგ სპორტსმენი სპორტსმეს ცვლიდა, მაგრამ ამ შედეგის „გაუმჯობესება ვერავინ შეძლო. მეორე ადგილზე გავიდა ნეგოდენკოს თანაგუნდელი ბ. ფრუნგეები — 1.10,369, ხოლო მესამეზე — არმიელი რ. პრუგლოვი — 1.10,372. როგორც ზედავთ, შეჯიბრების მონაწილეთა ნაჩვენები შედეგები ძალზე მჭიდრო იყო.

გიტის შემდეგ გამართულ 60 წრეზე ინდივიდუალურ რბოლაში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა სომხეთის ოლიმპიური ზზადების ცენტრის მრბოლმა ს. ნაზარიანმა, რომელსაც 3 წრის დისტანციაზე უპირატესობა და 49 ქულა ჰქონდა. მეორე და მესამე ადგილების ბედი სულ ერთმანეთან გადაწყვეტა, დაფიცოლმა ნეგოდენკომ სწორედ ქულით აჯობა არმიელ სპორტსმენს ო. კორნიენკოს. თბილისელი ო. კაზაკოვი IV ადგილით დამაყოფილდა.

ძალზე სიტტეფსილად მიმდინარეობს ნაყვლი 6-ფლანი რბოლა. თითქოს ეს ასე არ უნდა იყოს: ყოველდღე ერთმანეთს ერთი და იგივე მონაწილეები ეჯიბრებიან, დისტანციია თუმცა ორ იცვლება, მაგრამ ყოველ რბოლაში მოყვანილნი ისე სწრაფად ვითარდება, რომ მაყურებელს ყურადღების მოდუნების საშუალება არა აქვს. გამონაკლისი არც 26 სექტემბერს გამართული ასპარეზობა იყო, ამ წყვილება კვლავ 10 შეალედური ფინიშით 100 წრეზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

პირველ ფინიშზე რბოლის ლიდერებმა ი. ზამბერეკვამ და რ. წაქაძემ გაიმარჯვეს. შემდეგ მათი თანაგუნდელებები „ავერიიდან" — ს. ბოგაზოვი და ა. მიკუნიძე გაიჭრნენ წინ. ძირითადმა ჯგუფმა დაწინაურებულთა დაწევვა მხოლოდ ორი შეალედური ფინიშის შემდეგ შეძლო. ამ დროისათვის „ავერიის" ეს წყვილი უკვე შეჯიბრების ლიდერი გახდა. სულ მალე მათ მაგალითს პოლონელი სტეფანოვიც ლ. სტეპანოვსკიმ და მ. ტოროფსკიმ მიბაძეს. ამაც ანალოგიური სტატეკია განმეორდა: პოლონელმა მრბოლებმა, მიიღეს „რა ორი მოგებული შეალედური ფინიშისათვის გაგაკუთვნილი 10 ქულა, ძირითად ჯგუფში გადმოინაცვლეს. ამის შემდგომ ბრძოლა ძირითადად ეკუსდიოდნა რბოლის ლიდერებს, ზიმენკოვა-წაქაძეს და „პეტანენკო—ოსიპო

სტარტზე — შვილთან ერთად

„ლელოს" პრიზზე

უკვე ტრადიციად იქცა გაზეთ „ლელოს" პრიზზე რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარება შშმ-ს საბაფხული მრავალეტაპში. აშკარად სტარტზე გამოვიდა „განთიადის", „კოლმეურნეს", „ზენტიტის", „სპარტაკის", „ვოდნიკის", „ლოკომოტივის", „ბურევესტნიკის" 102 წარმომადგენელი. უნდა აღინიშნოს, რომ ოთხმა უკანასკნელმა სპორტსაზოგადოებამ ვერ შეძლო სრული გუნდის გამოყვანა. რკინიგზელთა კოლექტივის ღირსებას 14-ის ნაცვლად 7 სპორტსმენი იცავდა, „ბურევესტნიკი" შხოლოდ 4 მრავალშვილეთა წარსდგა შეჯიბრებაზე, თანაც მათგან შოსასპარეზე ქოროდელიშვილმა გაიარა ყველა გამოცდა და გუნდს, რომელშაც ბოლო ადგილი დაიკავა, 57 ქულა მოუტანა.

ეგზეკუტორ ჩათვლაში საერთო გამარჯვება და გაზეთ „ლელოს" პრიზი მოიპოვა „განთიადის" კოლექტივმა, რომელშაც 1120 ქულა მოაგროვა. II ადგილი დაიკავა „კოლმეურნეს" გუნდმა — 887, III — „ზენიტმა" — 774.

— ეს საკვანძო კომპლექსი ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემის საფუძველს წარმოადგენს, — თქვა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ხ. რაჰინაშვილმა, — შშმ-ს მიზანია ჯანმრთელობის განმტკიცება, ადამიანთა ფიზიკური განვითარება, მათი მოამზადება შრომითი სამშობლოისა და სამშობლოს დასაცავად. სასიამოვნოა, რომ პრიზის წლევანდელი გამარშვების მონაწილეთა შორის ბევრი იყო ვეტერანი, რომლებიც წლების განმავლობაში გამოდიან ამ სტარტებზე. ზოგიერთი მათგანი ამჟამად თავიანთ შვილებთან ერთად ასპარეზზეა. მაგალითად, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ოპერატორი პოლინა ჩინჩალაძე — ამ შეჯიბრების უცვლელი მონაწილე და პრიზიორი — წინათ ქმართან ერთად, გამოდიოდა, შემდეგ, ვაჟთან, ახლა კი ქალიშვილთან ერთად ასპარეზობდა. სამუშაროდან, წლევანდელ მონაწილეთა მომზადების საერთო დონე წინა წლებთან შედარებით არ ამაღლებულა. თავად განსაკუთრებით მხოლოდ 63-მა მონაწილემ (თითქმის ნახევარმა) დაამაგრა. იქნებ ეს იმის ბრალიც იყოს, რომ წლევანს არ ჩატარებულა ქვეყნის ჩემპიონატი გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე. გიუგბარია სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომაშა მეორე პლანზე რატომ გადასვეს მრავალშვიდლეები. „განთიადის" გარდა არცერთ საზოგადოებას არ ჩატარებია პირველობა შშმ მრავალშიდმი. ყველაფერს ამაზე, რა თქმა უნდა, გავლენა იქონია შეფდგებზე.

გაგაცნობთ პირად ჩათვლაში „ლელოს" პრიზის მფლობელებს: ქალები. ლ. შუმილინა (V საფეხური), ნ. ლაგერლეშვილი (IV საფეხურის მეორე ჯგუფი), ლ. ამბაკეევა (IV, I) (სამეგი — „კოლმეურნე"), ე. პაპიკინა („ზენტი") — III საფეხური. ვიუკინ. ვ. სუხინინკო (V), ა. კრეტინინი (ორივე — „განთიადი") — IV, II, ვ. ზუტაოვი („კოლმეურნე") — IV, I, გ. გელეფშელი („განთიადი") — III.

ამ დღეებში საქართველოს შშმ-ს მრავალშვიდლეთა ნაკრები სამატჩო შეხვედრის კამპათეს ლიტეის გუნდთან. ასპარეზობას ჭიაოეკა უამასინძლებს.

ა. ზეპკო.

* * *

ხურა|ოეტზე: ასპარეზობის მონაწილეები.

ა. კოტორაშვილას ფოტო.

● მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

კარგად დაიწყეს

მოვიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატების პროგრამა ისეა შედგენილი, რომ დასვენების დღე ფატიურად არ არის. 25 სექტემბრის ვგიან საღამოს დამთავრდა „ლასპოკოსთა" ტურნირი, 26 სექტემბერს კი კიევის სპორტის სასახლის სარბილზე უკვე თავისუფალი სტილის ჩემპიონატი არაკვეფნენ ურთიერთობას. ამ სეზონამდე „ფინნი 29 სექტემბერს ეშნება, 30-ში კი ხალიჩაზე ვამოკვლენ მსოფლიოს უძლიერესი სამბისტები. ასეთი მასშტაბის შეჯიბრება მეორედ ტარდება ჩვენს ქვეყანაში 1975 წელს მსოფლიო ჩემპიონატებს მინსკი მასპინძლობდა.

„8 წლის წინ სამივე სახეობაში საბჭოთა მოჭიდავეებმა გამარჯვეს, — გვეუბნება საკავშირო სპორტკომიტეტის სამმართველოს უფროსმა ანატოლი პარხომენკომ — ცხადია, ჩვენი გუნდები ამჟერადაც მხოლოდ პირველობისთვის იბრძვიან. „ლასპოკოსებმა" გაკეთეს თავიანთი საქმე და დამჯეერებლად მოიპოვეს გუნდური I ადგილი. მათ კარგი მაგალითი მისცეს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს, რომელთაც ძნელი ბრძოლა ელით ჩემპიონობისთვის. ტრადიციულად ჩვენი მთავარი კონკურენტები არიან ბულგარეთის, გდრ-ის, აშშ-ის, პოლონეთის და უნგრეთის მოჭიდავეები. ევროპის ბოლო ჩემპიონატზე, რომელიც ამრიელი ბულგეპეშეში გაიმართა, ბულგარელებმა 5 ოქროს მედალი მოიპოვეს, ჩვენნ გუნდიდან კი მხოლოდ ნალიევმა და მაგომედოვმა შეძლეს გამარჯვება. უფროსეკ — ეს ფაქტი შეტყვეულს იმაზე, რომ ბულგარელების სახით ძალზე სერიოზული მეტოქე გვყავს".

უნდა ითქვას, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ საბჭოთა ნაკრებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ამჟერად გუნდის შემადგენლობა ასეთია: ალექსანდრე დორჟე (48 კგ, კიზილი), ანატოლი ბელოგლაზოვი (52, კიევი), სერგეი ბელოგლაზოვი (57, კიევი), ვიქტორ ალექსეევი (62, კრასნოიარსკი), არსენ ფაძაევი (68, ტაშკენტი), ტარან მამეგმოდოვი (74, მოსკოვის ოლქი), თეიმურაზ ძაოვეი (82, ორჯონიკიძე), პეტრე ხალიეევი (90, ლენინგრადი), ასლან ბოდარაკეეი (100, ტაშკენტი), სალმან ხასიბეკოვი (+100, მოსკოვი). სამწუხაროდ, ავერ უკვე ფრაშდეეე ეეოოეედა ქართველი ფალავნები ამ რანგის შეჯიბრებაში არ მონაწილეობენ. მართალია, ბოლო საწერთნეეი. შეკრებაზე ჩვენი რესპუბლიკის რამდენიმე წარმომადგენელი იყო გამოძახებული, მაგრამ საკოტროლო შეხვედრების შემდეგ ისინი ქვეყანის მთავარ გუნდში ვერ მოხვდნენ.

კიევის ჩემპიონატში 25 ქვეყანის 160 მოჭიდავე მონაწილეობს. მათ შორის ბრაგეოდან არიან ტიტელოვანი სპორტსმენები — ევროპის, მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები. მაგალითად, კიეველი ა. ბელოგლაზოვი უკვე სამჯერ იყო მსოფლიო ჩემპიონი, მისი ძმა სერგეი კი — ორჯერ. მსოფლიო ჩემპიონის 3 ოქროს მედალი აქვს აგრეთვე ხასიმიკო